

დანართი 1
დამტკიცებულია
ბსუ-ს რექტორის 28.02.2019 წ. ბრძანებით № 01-02/25



პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა

ზაგა-ზალის აღმზრდელი

2019 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა

პროგრამის სახელწოდება: ბაგა-ბაღის აღმზრდელი

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა (დღეებსა და ასტრონომიული საათებში) შეადგენს:

- პროგრამის მოცულობაა 6 კრედიტი, **150 ასტრონომიული საათი**, აქედან თეორიული მეცადინეობა - 48 საათი; პრაქტიკული მეცადინეობა - 96 საათი; დასკვნითი გამოცდა - 6 საათი;
- სწავლა წარმოებს კვირაში 6 დღე, მეცადინეობის ხანგრძლივობა შეადგენს დღეში 3 საათს (კვირაში 18 საათს).
- სულ პროგრამის ხანგრძლივობაა **60 კალენდარული დღე/50 სასწავლო დღე (2 თვე)**.

პრაქტიკული სწავლების თეორიულ სწავლებასთან თანაფარდობაა 2,0

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: მარინე გურგენიძე

პროგრამის განხორციელების ადგილი და საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქ. 35/32, ტელ: (+ 995 422) 27 17 80; ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge; vocational@bsu.edu.ge

პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური რაოდენობაა-5, მაქსიმალური-10.

პროგრამის სავარაუდო ღირებულება ლარებში:

- 5-7 კაციანი ჯგუფისათვის - 900 (ცხრაასი) ლარი
- 8-10 კაციანი ჯგუფისათვის - 970 (ცხრაას სამოცდაათი) ლარი

პროგრამის სავარაუდო ხარჯები ლარებში:

- ა) საუნივერსიტეტო ხარჯები - 40% (კომუნალური გადასახადები: წყალი, დენი, გათბობა; აუდიტორიისა და ტექნიკის ამორტიზაცია: მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, პრინტერი, პროექტორი, ოთახი; სახარჯი მასალები: ქაღალდი, მარკერი, საშლელი, სერტიფიკატის დამზადება)
- ბ) პროგრამის მუშაობის ხარჯები - 20% (პროგრამის ხელმძღვანელის მუშაობა - 10%, მსმენელის პირადი საქმის წარმოება - 5%, სასწავლო პროცესის მართვა - 5%)
- გ) პედაგოგის მუშაობის ანაზღაურება - 40%.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ საადმინისტრაციულ გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა. შ.

პროგრამის სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • გსმ აღსაზრდელების ჩართულობით საადმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა • განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები • ბავშვის, მათ შორის გსმ მოსწავლის განვითარების გზები და საშუალებები • ბავშვთა, მათ შორის გსმ პირთა განმავითარებელი გარემოს მოწყობის პრინციპები • ინკლუზიური და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა <p>თემთან და ოჯახთან ურთიერთობის წარმართვის გზები და საშუალებები</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • აქტიური მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში • სხვადასხვა მიდგომების გამოყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსახორციელებლად • გსმ აღსაზრდელების ჩართულობით საადმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა • ბავშვთა, მათ შორის გსმ პირთა განმავითარებელი გარემოს მოწყობა • ინკლუზიური და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა • ბავშვის, მათ შორის გსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა <p>თემთან და ოჯახთან ურთიერთობის წარმართვა</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული კომპლექსური სიტუაციების ანალიზი და დასკვნის გაკეთება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>არის კომუნიკაბელური, შეუძლია პროფესიულ საკითხებზე ეფექტური კომუნიკაცია კოლეგებთან, აღსაზრდელებთან და მშობლებთან, კონფლიქტურ სიტუაციებში სიმშვიდის შენარჩუნება, იცნობს გუნდური მუშაობის პრინციპებს და იყენებს ურთიერთობაში;</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა;</p> <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიახლეების მოძიება და გაცნობა • სხვადასხვა ტექნოლოგიების საშუალებით ლიტერატურის გაცნობა და გააზრება <p>მოპოვებული ლიტერატურის პრაქტიკაში გამოყენება</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>იცავს ეთიკის ნორმებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს.</p>

პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	სამუშაოს ორგანიზება	1.1. თანამშრომლობს ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან (მეთოდისტთან) 1.2. თანამშრომლობს კოლეგებთან 1.3. აწარმოებს რეგულაციებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას
2.	საადმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა	2.1. თანამშრომლობს მულტიდისციპლინურ გუნდთან 2.2. შეიმუშავებს ინდივიდუალურ საადმზრდელო გეგმას 2.3. ხელმძღვანელობს სავალდებულო და სარეკომენდაციო ლიტერატურით
3.	თემთან და ოჯახთან ურთიერთობის წარმართვა	3.1. ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან და თემთან 3.2. ხელს უწყობს მშობლის ჩართულობას საადმზრდელო პროცესში
4.	საადმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა	4.1. აკვირდება ბავშვს 4.2. აფასებს ბავშვს

5.	ბავშვის მრავალმხრივი განვითარება	<p>5.1. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად</p> <p>5.2. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას ენისა და მეტყველების განსავითარებლად</p> <p>5.3. უზრუნველყოფს აქტივობების ჩატარებას თვითგამოხატვის, კრეატიულობის ან/და მოტორული უნარების განსავითარებლად</p>
6.	განმავითარებელი გარემოს მოწყობა	<p>6.1. აწყობს სააღმზრდელო ჯგუფის ფიზიკურ გარემოს სააღმზრდელო პროგრამის შესაბამისად</p> <p>6.2. ქმნის ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს</p>
7.	ინკლუზიური და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა	<p>7.1. უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებას</p> <p>7.2. თანამშრომლობს მულტიდისციპლინურ გუნდთან</p> <p>7.3. უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებულ სააღმზრდელო გარემოს</p> <p>7.4. ახორციელებს სააღმზრდელო პროცესს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებს შორის განსხვავებულობის პატივისცემას</p> <p>7.5. უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას მრავალფეროვნების შესახებ</p> <p>7.6. უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ჩართულობას</p>
8.	ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნორმების დაცვა	
9.	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	<p>9.1. ეცნობა საჭირო ლიტერატურას პროფესიული უნარების დახვეწისათვის</p> <p>9.2. ეცნობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების სფეროში არსებულ სიახლეებს</p> <p>9.3. ახდენს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას დარგის სპეციალისტებთან</p>

პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	სამუშაოს ორგანიზება	<ul style="list-style-type: none"> • იცის ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები • იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია კეთილსინდისიერად შეასრულოს სამუშაო მოვალეობები • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია • შეუძლია ბაგა-ბაღის ინვენტარისა და რესურსის გონივრული გამოყენება • შეუძლია ბავშვთა უფლებების დაცვა • შეუძლია ინფორმაციის მოძიება
2.	სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა	<ul style="list-style-type: none"> • იცნობს ბავშვის საჭიროებების გამოვლენის გზებს • იცის სხვადასხვა რესურსის მოძიების გზები • იცის მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობის სპეციფიკა • იცნობს მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრთა მოვალეობებს • იცნობს აღსაზრდელთა ინდივიდუალურ საჭიროებებს • იცის ინდივიდუალური სააღმზრდელო გეგმის შექმნის პრინციპები • იცის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ინდივიდუალური 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია გაითვალისწინოს აღსაზრდელთა ინდივიდუალური შესაძლებლობები • შეუძლია ბავშვის საჭიროებების გამოვლენა • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია • შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება • შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება ინდივიდუალური სააღმზრდელო გეგმის შექმნაში • შეუძლია ინფორმაციის ანალიზი • შეუძლია ინდივიდუალური სააღმზრდელო გეგმის შემუშავება ძირითადი პრინციპების დაცვით

		სააღმზრდელო გეგმის განხორციელებას	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სხვადასხვა რესურსის გამოყენება
3.	თემთან და ოჯახთან ურთიერთობის წარმართვა	<ul style="list-style-type: none"> • იცის მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის სააღმზრდელო პროგრამაში გათვალისწინების გზები • იცის მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების ხერხები • იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია მშობლებთან • შეუძლია მრავალფეროვნებასა და განსხვავებულობასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება
4.	სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა	<ul style="list-style-type: none"> • იცის ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები • იცის ბავშვზე დაკვირვების ტექნიკა • იცის დაკვირვების ჩანაწერების წარმოების გზები • იცის მულტიდისციპლინურ გუნდში მომუშავე პროფესიონალთა კომპეტენციები და მათი მნიშვნელობა • იცის ბავშვის შეფასების პრინციპები და მეთოდები • იცის ქცევის მართვის პოზიტიური მეთოდები • იცის ბავშვის აქტიური ჩართვის სტრატეგიები • იცის ბავშვის წახალისების მექანიზმები • იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ბავშვზე დაკვირვება ბუნებრივ გარემოში • შეუძლია კონფიდენციალობის დაცვა • შეუძლია დაკვირვების ჩანაწერების გაკეთება • შეუძლია შეფასების ფორმების გამოყენება • შეუძლია ბავშვის ქცევაზე დაკვირვება • შეუძლია მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობა • შეუძლია ბავშვის შეფასება • შეუძლია პოზიტიური კომუნიკაცია • შეუძლია ქცევის მართვის პოზიტიური მეთოდების გამოყენება
5.	ბავშვის მრავალმხრივი განვითარება	<ul style="list-style-type: none"> • იცის სკოლამდელ განათლებაში კომუნიკაციის მნიშვნელობა • იცის კომუნიკაციის უნარების განსავითარებელი აქტივობები • იცის აღმზრდელის როლის შესახებ მეტყველების უნარის განვითარებაში • იცის მეტყველების განვითარების შესაბამისი მიზნების შესახებ • იცის მეტყველების განსავითარებელი აქტივობების დაგეგმვა • იცის დაგეგმილი აქტივობების განხორციელება • იცის მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის შეფასება ენისა და მეტყველების უნარების განსავითარებლად 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სკოლამდელ განათლებაში კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა • შეუძლია სკოლამდელ განათლებაში დაგეგმილი კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი აქტივობების განხორციელება • შეუძლია მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის შეფასება • შეუძლია აღმზრდელის როლის განსაზღვრა მეტყველების უნარის განვითარებაში • შეუძლია მეტყველების განსავითარებელი აქტივობების დაგეგმვა • შეუძლია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება • შეუძლია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება • შეუძლია მიზნის მიღწევის პროცესისა და შედეგის შეფასება ენისა და მეტყველების უნარების განსავითარებლად

6.	<p>განმავითარებელი გარემოს მოწყობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის ბავშვის განვითარების შესაბამისი გარემოს მოწყობის გზები • იცნობს საერთაშორისო ინოვაციურ გამოცდილებას ფიზიკური სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით • იცნობს ბავშვის ქცევის მართვის პოზიტიურ მეთოდებს • იცის ბავშვთა უფლებების კონვენცია • იცის ქცევის მართვის სტრატეგიები • იცის პოზიტიური ქცევის ხელშეწყობის გზები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ბავშვის განვითარების შესაბამისი გარემოს მოწყობა • შეუძლია აღსაზრდელთა ქცევის პოზიტიური მართვა • შეუძლია ჯგუფის მართვა პოზიტიური მეთოდებით • შეუძლია შექმნას თანამშრომლობითი გარემო • შეუძლია პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება • შეუძლია ბავშვთა უფლებების კონვენციის პრინციპების გათვალისწინება სააღმზრდელო პროცესში • შეუძლია ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით ხელი შეუწყოს მის დამოუკიდებელ მოქმედებას
7.	<p>ინკლუზიური და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების ხერხები • იცის ადრეულ ასაკში სწავლებისა და განვითარების ხელშეწყობის მეთოდები • ფლობს ინფორმაციას ბავშვის სხვადასხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ • იცის მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობის პრინციპები • იცნობს კომუნიკაციის პოზიტიურ მეთოდებს • იცის გუნდური მუშაობის პრინციპები • იცის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების უფლება-მოვალეობები • იცის ჯგუფში არსებულ განსხვავებულობაზე დაკვირვების გზები • იცის საკუთარი უფლება-მოვალეობები მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობის დროს • იცნობს სხვადასხვა სპეციალურ საჭიროებას • იცნობს ბავშვის საჭიროებების შესაბამის სხვადასხვა ინკლუზიურ სტრატეგიას • იცის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობის მეთოდები • იცნობს შესაბამისი ლიტერატურასა და რესურსებს • იცის თითოეული ბავშვის ჩართვის მნიშვნელობა 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია აქტიური მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში • შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა და ჩატარება • შეუძლია სხვადასხვა მიდგომების გამოყენება ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად • შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მისაღწევი შედეგების შესაბამისად • შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების შეფასება • შეუძლია მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობა • შეუძლია რეგულარულად მიაწოდოს მულტიდისციპლინურ გუნდს სსსმ ბავშვის შესახებ ინფორმაცია • შეუძლია მიიღოს და გაითვალისწინოს მულტიდისციპლინური გუნდისგან მიღებული ინფორმაცია • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია • შეუძლია აღსაზრდელთა საჭიროებების გამოვლენა • შეუძლია გარემოს მოწყობა აღსაზრდელთა საჭიროებებიდან გამომდინარე • შეუძლია განსხვავებულობაზე დაკვირვება • შეუძლია ინკლუზიური გარემოს შექმნა • შეუძლია აქტივობების განხორციელება, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებს შეიტყონ სხვადასხვა განსხვავებულობის შესახებ

		<ul style="list-style-type: none"> • იცის განსხვავებულობის გამოვლენის მეთოდები • იცის განსხვავებულობის მიმღებლობის მნიშვნელობა • იცნობს ბავშვთა უფლებების კონვენციას • იცის კონვენციის პრინციპების მნიშვნელობა თანასწორი საზოგადოების შექმნისთვის • იცნობს ინკლუზიური გარემოს მახასიათებლებს • იცის ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები • იცის უნივერსალური გარემოს შექმნის პრინციპები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ბავშვებს ასწავლოს და დაეხმაროს სხვადასხვა სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან გამკლავებაში • შეუძლია თითოეული ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნივერსალური გარემოს შექმნა
8.	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	<ul style="list-style-type: none"> • იცის სხვადასხვა ტექნოლოგიებით ლიტერატურის მოპოვების გზები • იცის გამოცდილების გაზიარების სხვადასხვა გზა 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მოპოვებული ლიტერატურის პრაქტიკაში გამოყენება • შეუძლია პროფესიული ლიტერატურის გააზრება • შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია მისი საჭიროების შესაბამისი კვალიფიკაციის ამადლების შესახებ • შეუძლია სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა • შეუძლია განსაზღვროს მოპოვებული სიახლეების შესაბამისობა საკუთარ საჭიროებებთან • შეუძლია გამოცდილების გაზიარება • შეუძლია სხვისი გამოცდილების გათვალისწინება • შეუძლია შემოქმედებითად მიუდგეს პროფესიულ საქმიანობას • შეუძლია შექმნას ახალი პროდუქტები: აქტივობები, თამაშები, სხვადასხვა მეთოდური მასალა

სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების მეთოდები: თეორიული მეცადინეობა, პრაქტიკული მეცადინეობა

სასწავლო პროცესი ემყარება შემდეგ მეთოდებს:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ.
- წერიტი მუშაობის მეთოდი - რომელიც გულისხმობს ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, დოკუმენტაციის შედგენას ან/და შევსებას.
- ჯგუფური მუშაობა წარმართება შესასწავლად მიცემული თეორიული მასალის ირგვლივ კითხვა-პასუხისა და რელევანტურ საკითხებზე მცირე დებულებების ჩამოყალიბებით (გამოკითხვის მეთოდი).
- დემონსტრირების მეთოდი - შედეგის ეფექტიანად მიღწევის მიზნით ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა.
- პრაქტიკული მეცადინეობა - მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების გასავითარებლად, დიდი დრო დაეთმობა პრაქტიკის კონკრეტული მაგალითებზე მუშაობა.

პროგრამის დასრულების ბოლოს ტარდება გამოცდა, რის საფუძველზეც გაიცემა სერტიფიკატი.

სერტიფიცირება

- სერტიფიცირების პროცესი ტარდება გამოცდით კომპიუტერებთან;
- მსმენელებს მიეცემათ პრაქტიკული დავალებები, თითოეული დავალება ფასდება 1-დან 10 ქულის ფარგლებში.
- დადებითი შეფასების მოპოვების წინაპირობაა დადგენილ ქულათა მინიმუმ 51 %-ის დაგროვება
- გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე 5 დღის ვადაში. განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი საბოლოოა.

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო თემატიკა	საათების რაოდენობა მოც. პროგრამაზე	საკონტაქტო საათები		
			თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა	დასკვნითი შეფასება
1	ადრეული განვითარების თავისებურებები	37	12	24	1
2	ადრეული განათლების კურიკულუმი	37	12	24	1
3	ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა	38	12	24	2
4	განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები	38	12	24	2
სულ		150	48	96	6

პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგები:

მარინე გურგენიძე - პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ელ-ფოსტა: marine.gurgenidze@yahoo.com, ტელეფონი: 579251232

ნანი მამულაძე - პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ელ-ფოსტა: nanamamauladze@mail.ru, ტელეფონი: 577141056

ნანა მაკარაძე - პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ელ-ფოსტა: nmakaradze@bsu.edu.ge, ტელეფონი: 593606071

მადონა მიქელაძე - პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ელ-ფოსტა: madona.mikeladze@bsu.edu.ge, ტელეფონი: 577141011

ნატო შეროზია - პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ელ-ფოსტა: sherozia1966@gmail.com, ტელეფონი: 577173707

მარიანა გოგოლიშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი

ელ-ფოსტა: gogolimariana85@gmail.com, ტელეფონი: 591980699

სოფო სანიკიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი

ელ-ფოსტა: sofia.73@mail.ru, ტელეფონი: 555145353

სასწავლო თემატიკა

ადრეული განვითარების თავისებურებები

- განვითარების ძირითადი თეორიები:
- ფსიქო-სოციალური განვითარების თეორიები
- კოგნიტური განვითარების თეორია,
- ბიჰევიორიზმი
- სოციალური დასწავლის თეორია
- ვიგოტსკის სოციალურულ-კულტურული თეორია
- ევოლუციური სისტემების თეორიები
- ბავშვის ფიზიკური განვითარების თავისებურებები 0-დან 7 წლამდე
- ბავშვის კოგნიტური განვითარების თავისებურებები 0-დან 7 წლამდე
- ბავშვის მეტყველების განვითარების თავისებურებები 0-დან 7 წლამდე
- ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარების თავისებურებები 0-დან 7 წლამდე
- აქტივობების მოფიქრებისა და დაგეგმვის პროცესში ასაკობრივი და განვითარების თავისებურებები

ადრეული განათლების კურიკულუმი

- კურიკულუმის განმარტება
- კურიკულუმის განსხვავებული ფორმები ქვეყნების მიხედვით
- კურიკულუმის ძირითადი ნაწილები: მიზანი, შინაარსი, პროცესი და შეფასება
- კურიკულუმების ძირითადი განზომილებები (მაგალითისთვის იხილეთ Frede & Ackerman (2007))
- ფილოსოფიური საფუძვლები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე კურიკულუმებს
- კურიკულუმის კომპეტენციის გამომუშავებაზე მიმართული (competence models) და საქმიანობაზე მიმართული მოდელები (performance models)
- განსწავლულთა აკადემიური იდეოლოგია; სოციალური ეფექტიანობის იდეოლოგია; მოსწავლეზე ორიენტირებული იდეოლოგია
- სოციალური რეკონსტრუქციის იდეოლოგია
- კონსტრუქტივიზმი - პიაჟე
- კულტურულ-ისტორიული თეორია - ვიგოტსკი და ბრონფერბერენერი
- თამაშით სწავლება - ფრობელი
- კურიკულუმის მოდელები:
- მონტესორი
- ტყის სკოლები
- მაღალი შესაძლებლობები
- რეჯიო ემილია
- გამოცდილებითი განათლება
- და სხვა აქტუალური მოდელი
- თითოეული მოდელის ფარგლებში განიხილოს:
- ისტორიული და თეორიული საფუძვლები
- მოდელი პრაქტიკაში (მიზნები, ფიზიკური გარემო, მასალა, მიდგომა და მასწავლებლის როლი)
- ეფექტური პრაქტიკის კრიტერიუმები (მაგალითისთვის იხილეთ Laevers (2005))
- საქართველოს კანონმდებლობა ადრეულ ასაკის განათლების მიზნებისა და კურიკულუმის თვალსაზრისით
- არსებული დოკუმენტაცია:
- სტანდარტი
- ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა
- სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის: აქტივობათა წიგნი
- სასკოლო მზაობის პროგრამა თ-ა-მ-ა-შ-ი სწავლისა და განვითარებისთვის

ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა

- ფიზიკური გარემოს ნაწილები: ობიექტური და სუბიექტური ფიზიკური გარემო
- ფიზიკური გარემოს მესიჯები
- ცენტრები ადრეულ განათლებაში (დეფინიცია და თეორიული საფუძვლები)
- ჯგუფის ცენტრებად მოწყობის პრინციპები (სველი და მშრალი, ხმაურიანი და წყნარი, ბუნებრივი და არაბუნებრივი სინათლის წყარო, ა. შ.)
- განსხვავებული ფიზიკური გარემო ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით
- დღის განრიგი
- ტრანზიცია
- რუტინა
- წესები
- დიდ და პატარა ჯგუფებში მუშაობა
- სასწავლო ცენტრებში ბავშვების გადანაწილება და პარალელური მუშაობა
- სააღმზრდელო გარემოს შეფასება (ჩეკლისტები, დაკვირვება და ლიკარტის შკალის ტექსტები)
- ცალკეული ცენტრების (დილის წრე, სადამოს წრე, ხელოვნება, მუსიკა და მოძრაობა, სამაგიდო, წიგნიერება/მეტყველება, დრამატული, სენსორული, მეცნიერება, კონსტრუქციული და სხვა საჭიროების შემთხვევაში) და ეზოს განხილვა:
- მნიშვნელობა და დანიშნულება
- მოწყობის პრინციპები
- საჭირო მასალა
- ცენტრის ტიპური აქტივობები
- შესაბამისი თამაშის ან აქტივობის ტიპის მნიშვნელობა და განვითარება
- მასწავლებლის როლი

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები

- განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების პატივისცემა
- განსაკუთრებული საჭიროების გაგების განსხვავებული მოდელები
- ინკლუზიური ინტეგრირებული და სპეციალური განათლება
- ბავშვის ფუნდამენტური უფლებები
- ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა და პოლიტიკა
- ბავშვის ქცევაზე დაკვირვება
- ინტერვიუს ტექნიკები
- ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების განსაზღვრა
- კომუნიკაციური პრობლემის თავისებურებები
- სენსორული პრობლემის თავისებურებები
- მოტორული პრობლემის თავისებურებები
- ინტელექტუალური პრობლემის თავისებურებები
- ქცევის პრობლემის თავისებურებები
- კომუნიკაციური პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები
- სენსორული პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები
- მოტორული პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები
- ინტელექტუალური პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები
- ქცევის პრობლემის მქონე ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიები
- SMART მიზნების ფორმულირება
- დახმარების ფორმები
- აქტივობის ბიჯებად დაყოფა
- როლები და პასუხისმგებლობები
- ეფექტური კომუნიკაციის ტექნიკა
- დღის გეგმის მოდიფიცირება
- პროგრესის შეფასება

ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები

- ადრეული ასაკის სწავლისა და განვითარების სტანდარტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო). 2010 წ. - ბსუ-ს ბიბლიოთეკა
- ბავშვის განვითარება. ლორა ბერკი, მე-7 გამოცემა, 2010 <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/04/bavshvis-ganvithareba.pdf> - ბსუ-ს ბიბლიოთეკა
- Ellen Frede and Debra J. Ackerman (2007): Preschool Curriculum Decision-Making: Dimensions to Consider, National Institute for Early Education Research, <http://nieer.org/resources/policybriefs/12.pdf>
- სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბავშვ-ბავშვისთვის: აქტივობათა წიგნი. 2012 წ. (სწავლის შედეგი 3) - ბსუ-ს ბიბლიოთეკა
- საბავშვო ბავშვის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო. 2011 წ. - ბსუ-ს ბიბლიოთეკა
- Linda Pound (2009) How Children Learn 3: Contemporary Thinking and Theorists
- <https://www.amazon.com/How-Children-Learn-Contemporary-Theorists/dp/1904575889>
- C. McLachlan, M. Fleer and S. Edwards (2010): Early Childhood Curriculum: Planning, Assessment, and Implementation (სწავლის შედეგი 1)
- http://www.newbooks-services.de/MediaFiles/Texts/5/9781107624955_Intro_001.pdf - ბსუ-ს ბიბლიოთეკა
- სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბავშვ-ბავშვისთვის: აქტივობათა წიგნი. 2012 წ. (სწავლის შედეგი 1,2,3) – ბსუ-ს ბიბლიოთეკა
- Blank-Mathieu, Margarete, Kinderspielformen und ihre Bedeutung für Bildungsprozesse, Herausgeber: Martin R. Textor <http://www.kindergartenpaedagogik.de/1610.html>
- „ვისწავლოთ ერთად“. ინკლუზიური განათლება, 2008 წ.
- თ. გაგომიძე „განვითარების დარღვევები“. http://tpdc.gov.ge/?action=page&p_id=487&lang=geo - ინტერნეტრესურსი
- „ინკლუზიური განათლების პრინციპები“, 2008 წ.
- Schwarz Rolf, Spielentwicklung in der früheren Kindheit, Kita Fachtexte, Alice Salomon Hochschule, Fröbel Gruppe und Weiterbildungsinitiative frühkindlicher Entwicklung, 2014 http://www.kita-fachtexte.de/uploads/media/KiTafT_schwarz_2014.pdf (25.01.2015)
- თ. გაგომიძე „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“. 2015 წ.
- http://api.ning.com/files/NpAlVAvTs3MZFxt8fkALBpXqDimVMfyeaZbG0di6NyPNeVXIZDJUqrO4mCXKHLZ28F17Yb5YuAARafqzkSZjJWwxlRslwPy/bavshvis_fsiqikuri_ganvitarebis_dargvevebi.pdf
- „ინკლუზიური განათლება“ <http://en.calameo.com/read/00452199775bcde014da3> 2010
- „ინკლუზიური სკოლამდელი განათლების სამაგალითო შემთხვევები“ <http://www.portage.ge/sites/default/files/სამაგალითო%20შემთხვევები%201.pdf>
- საბავშვო ბავშვის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო; 2011 წ. <https://drive.google.com/file/d/0BzmgZ5Rg9uTAYV82MzBha3VqWDQ/view>;
- ბარბარა კაიზერი, რთული ქცევა ბავშვებში - გაგება, პრევენცია, ეფექტური მართვა“, 2007 <http://www.portage.ge/ka/library?title=>
- დევი რილი, რობერტ სან ხუანი, სოან კლინკერი, ენ რამინგერი. სოციალური და ემოციური განვითარება. პრაქტიკისა და მეცნიერული ცოდნის დაკავშირება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. <http://www.portage.ge/ka/library?title=>